№ 102
ხუთშაბათი, 16 მაისი 1896

1877—1896

№ 102
ხუთშაბათი, 16 მაისი 1896

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**დეკანოზი გრიგოლი, ძენი მისნი: სტეფანე და გაბრიელ ღამბარაშვილები და ასულნი: მარიამ ტატიშვილისა და ალექსანდრა გვერდწითლისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მოსკოვში პირველი ძისა, ხოლო უკანასკნელნი ძმისა უნივერსიტეტის მესამე კურსის **სტუდენტის ანდრიასასა**, სთხოვენ მათ დაესწრნენ წირვასა და პანაშვიდს განსვენებულის სულის მოსახსენებლად გორის ოქონის ეკკლესიაში, 18 ამა მაისსა, შაბათს, დილის 10 საათზედ. 3—1

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ უამინდობისა გამო გადიდო 19 მაისისათვის.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საღინოვის სახლი, № 21).

## კაბინეტი კბილის ექიმთა

**ვ. ი. პიჩინაძისა და ქ-ნის ძხ. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

**„ქართველ ქალთა ამხანაგობის" გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც ხსენებულს ამხანაგობაში წევრობა ჰსურს შეუძლიან მიჰმართოს ფულის წარსადგენად მხოლოდ შემდეგს პირებს:

ტფილისში:
თავმჯდომარეს ამხანაგობისას: კნ. ოლღა თად. ასულს ჭავჭავაძისას, ამხანაგობის გამგეს ქ-ნს ეკატირინე რევაზის ასულს გაბაშვილისას, ქ-ნ ნინო მიხეილის ასულს გიყომყრელისას, კნ. სოფიო ნიკოლოზ. მიქელაძისას, ქ-ნს ეკატირინე დიმ. ფურცელაძისას, კნ. ბარბარე ანდრ. ავალიშვილისას, ქ-ნს ანნა გვარამაძისას, ქ-ნს ანნა ცისკარაშვილისას, ქ-ნს სოფიო მიხ. ჩხარტიშვილისას, ქ-ნს ოლღა ნიკ. ბეჟანიშვილისას, ქ-ნს ბარბარე არტ. ბაგინოვისას, ელენე ქაიხ. ანტონოვსკაიას, ქ-ნს დარია დიმიტ. დეკანოზიშვილისას, ბ-ნს ივანე მაჭავარიანს „მოამბის" რედაქციაში, თავადს კონსტანტინე ვეზირიშვილს, ბ-ნს ექვთიმე კვაჭაძეს და ბ-ნს ივანე ახალშენიშვილს, „ივერიის" რედაქციაში.

გორში:
ბ-ნს ნიკოლოზ ლომაურს;
ყარსში:
ქ-ნს სოფიო არტ. ზედგინიძისას;
სიღნაღსა და ქიზიყში:
ბ-ნს დიმიტრი მაჩხანელს (ნადირაძეს);
ბაქოში:
ქ-ნს მარიამ მიხ. ლოლომბერიძისას;
კავკავში:
ბ-ნს ალექსანდრე პეტრ. სარაჯიშვილს;
განჯაში:
ქ-ნს ალექსანდრა გიორგ. ყანჩელისას;
ცხინვალში:
თავ. იასონ ლუკას ძე ხიმშიაშვილს;
ერევანში:
თავ. ისიხია ნაკაშიძეს;
მანგლისში:
კნ. თამარ მიხ. ყავრიშვილისას;
ახალციხეში:
ქ-ნს ელისაბედ ნიკ. ყაზბეგისას,
თიონეთში:
ექიმს ლუკა ანტ. თავ. ჯავახიშვილს;
ეკატერინოფელდში:
ექიმს ვასილ მიხ. მანსვეტოვს;
თელავში:
ქ-ნს ბარბარე სულხანიშვილისას;
კახეთში:
კნ. მარიამ ალექს. ასულს ვაჩნაძისას;
დუშეთში:
ბ-ნს დავით ხიზანაშვილს;
სოხუმში:
კნ. გაიანე იოს. შარვაშიძისას;
სურამში:
ქ-ნს ეკატირინე ადამის ას. მუატს;
ახალციხის ახალქალაქში:
ქ-ნს მარიამ დავ. ალხაზიშვილისას;
ბათუმში:
ქ-ნს მარიამ ელიავას ცოლს;
ქუთაისში:
ქ-ნს ეკატირინე იაკობ. ნიკოლაძისას.

(3—უ—1).

ქართული თეატრი.
პარასკევს, 17 მაისს
არტისტი ქალი **მ. საფაროვ-აბაშიძისა** გამართავს წარმოდგენას.
მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ე. ს. მესხი, ბ-ნნი ვ. ალექსი მესხიშვილი, კ. ყიფიანი და კ. მესხი.

I
**პარიჟელი ბიჭი**
II
**კომედია უცებ ხლოდ**
III
**ბნელ ოთახში**
დასასრულ დივერტისმენტი და ლეკური.

თამაშობენ: ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, გედევანოვი, სიმონიძე, მარჯანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

## ტფილისი, 15 მაისი.

14 მაისს—მთელის რუსეთის იმპერიისათვის საბედნიერო და სადღესასწაულო დღეს—ყველა ჭეშმარიტ ქვეშევრდომთა სული და გული ფიანდაზად გარდასშალა და აღტაცებულის იმედებით დალოცა ახალგაზდა გვირგვინოსანნი!..

დღევანდელის დღის საერო გულის ძგერა, ერთ საგალობელად გარდაქმნილი, წარმოადგენს მთელის რუსეთის ლალადს, რომელშიაც იქარგება სიყვარული მორჭმულის მბრძანებელის მიმართ, ერთგულება ტახტისა, ქრისტიანებრივი სასოება და ქვეშევრდომლური თავ-განწირვა... ეს შეუდარებელი სიმდიდრე —ერის წრფელის ლოცვა-კურთხევისა, სასოებისა და სიყვარულისა —თვალსაჩინო გვირგვინთან ერთად უჩინარს და სამუდამო გვირგვინს უწნავს მირონცხებულს ხელმწიფეს და ძითი უმკობს ძადლიახს შუბლს თავისს ჭაბუკს მთავარსა და მწყალობელს.

სამაგიეროდ ასეთის შეუდარებელის და ყველაზე უფრო ერის საბედნიეროდ, — შეწირულებისა ჟოვლად მოწყალე იმპერატორი სრულიად რუსეთისა თავისის კეთილის გულითა და უხვის მარჯვენითა ურიგებს ქვეშევრდომთ წყალობათა, სიბრალულსა, შენდობასა და სიყვარულსა; გვიქადის საერთო მშვიდობასა და სიხარულსა. ამ გზით თავისს საბრძანებელის საბედნიეროდ იგი ტვირთულობს ღირსეულად აღასრულოს ის საღვთო დანიშნულობა, რომელიც მას ღმერთმა, ისტორიამა და ერისგულმა მიანიჭა და დიდებულთამის წინაპართა უანდერძეს!..

აი, ამ დღეს, ამ დიდებულს ჟამს თავისის ცხოვრებისას დღესასწაულობს და შეჰგალობს მთელი რუსეთის იმპერია და აი, ეს დღე ჰმოსავს უფრო მეტის დიდებითა და შარავანდედით ახალგაზდა გვირგვინოსანთა!

ეს დღე არის თავდები მეფისა და ერის გულის შეკავშირებისა და სათავე იმ იმედისა, რომლის შემწეობით მთელი სახელმწიფო გამხნევებული შეჰყურებს თავისს მომავალს და გზის მაჩვენებელს მარჯვენას თავისს მირონცხებულ ხელმწიფისას! ამ არა-ჩვეულებრივს დღესასწაულს და აღტაცებას მოწმედ ესწრებიან ყველა სახელმწიფოთა და განათლებულ ერთა წარმომადგენელნი და თავიანთს თანაგრძნობას, სიხარულსა და ნატვრას უერთებენ ამ საყოველთაო გრძნობათა.

ჩვენ, ჩვენდა საბედნიეროდ და თავმოსაწონებლად მთლად დარწმუნებულნი ვართ, რომ პატივცემულნი და დიდებულნი მოწამენი, რომელნიც ასეთს ჟამს ძლიერის რუსეთის საერთო დღესასწაულობას შეჰხარიან და ბანს აძლევენ, მოწამენი შეიქნებიან მისი, რომ მეოხებითა და მამობრივის, დაუღალავის მზრუნველობით ნიკოლოზ მეორისა, ეს საბედნიერო ერის გულის ძგერა სამუდამო მოვლენად გარდაიქცევა ბრწყინვალე მომავალში.

ამ უტყუარის სასოებით ვეგებებით ამ ჩვენთვის და მთელის რუსეთისათვის დიდებულს დღეს და ერთგულის ქვეშევრდომლობის გრძნობით ღმერთსა ვთხოვთ მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს ჩვენის საყვარელის იმპერატორისას და იმპერატრიცისას საბედნიეროდ და სახარად ჩვენდა.

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, 14 მაისს, მათის უდიდებულესობის ყ. დაგვირგვინების დღეს, დილით ადრე, ტფილისის ყველა ეკკლესიებში ლიტურგია იქმნა გარდახდილი. სიონის ტაძარში მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე სამღვდელოებითურთ. $11^1/_2$ საათზედ მოსკოვიდამ დეპეშა მოუვიდათ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გრაფს ტატიშჩევს სამხედრო მინისტრის ვანნოვსკისაგან და ტფილისის გუბერნატორს თავადს შარვაშიძეს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, რომ მათი უდიდებულესობა დაგვირგვინდაო. მაშინვე დეპეშა გორის ეპისკოპოსს ალექსანდრეს აცნობეს საკურთხეველში და ყოვლად სამღვდელომაც საყოველთაოდ გამოაცხადა; შემდგომ ამისა მაშინვე სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადეს. ტფილისის კომენდანტმა, გენერ.-მაიორმა რეიტერმა დაგვირგვინების დეპეშა არსენალში აცნობა და აქედამ ზარბაზანი სამჯერ დასცალეს. ქალაქის მცხოვრებლებმა მაშინვე სახლები ბაირაღებით და ბევრმა მათგანმა კიდევ მწვანით შეამკეს. არსენალის მთიდამ 101-ჯერ დასცალეს ზარბაზანი. პარაკლისის შემდეგ მრავალჟამიერ იქმნა წარმოთქმული მათის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ II-ისა, ხელმწიფე იმპერატრიცათ ალექსანდრა თეოდორეს ასულის, მარიამ თეოდორეს ასულის, მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისა და სამეფო სახლეულობის სადღეგრძელოდ. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: სახელმწიფო საბჭოს წევრი სტატს-სეკრეტარი დეისტ. სტატ. სოვეტ. ბარონი ა. პ. ნიკოლაი, მთავარ მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გრაფი ტატიშჩევი, გენერლობა, სხვადასხვა უწყებათ წარმომადგენელნი და სხვ. მრავალნი.

პარაკლისის შემდგომ გენერლობამა და სხვათ მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს, გრაფს ი. დ. ტატიშჩევს, მიულოცეს ეს სამხიარულო დღე.

პარაკლისები იქმნა გარდახდილი აგრეთვე ტფილისის ყველა სხვა ეკკლესიებში.

ჯარების უფროსებმა ჯარებს მიულოცეს დღესასწაულობა და პასუხად დიდ-ხნად ისმოდა „ურას" ძახილი. სამხედრო მუსიკა ყველგან სახალხო სიმღერას „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა" უკრავდა. ყაზარმები ბაირაღებითა და მაშხალებით იყო შემკული ღამის თერთმეტ საათამდე.

14 მაისიდამ ტფილისის ყველა ეკკლესიებში ზარებს ჰრეკავენ.

პარაკლისი და ლოცვა გარდიხადეს აგრეთვე სხვა სარწმუნოებათა წარმომადგენელთ ყველა ეკკლესიებში და არა ქრისტიანულ სამლოცველო სახლებში.

საღამოს 7 საათიდამ ღამის 11 საათამდე მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. ყურადღებას იქცევდა მათ შორის: [illegible] სახლი, კავკასიის ჯარების შტაბი, სათავად-აზნაურო ქარვასლა, არსენალის ყაზარმები და სხ.

⁂ გუშინ, წმ. [illegible] მეორე დღეს, დილის [illegible] საათზე ტფ. საიუნკრო სასწავლებლის მოედანზე, სადაც თავი [illegible] ყველა ჯარებს, [illegible] იქმნა სამადლობელი [illegible].

$12^1/_2$ საათზედ ალექსანდრეს ბაღში სადილი გაუმართეს სასახლის სამინისტროსაგან ტფილისის 3,000 ღარიბ მცხოვრებთ.

საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

⁂ საკუთარი კორესპონდენტი გაზ. „კავკაზისა" აუწყებს დეპეშით ხსენებულს გაზეთს, რომ, სხვათა შორის, გამოუცხადებიათ უმაღლესი ბრძანება შემდეგ პირთა დაჯილდოების შესახებ.—სამხედრო უწყებაში გენერალ-მაიორობა ებოძა დიდს მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს, რომელიც სამეგრელოსავე პოლკის სარდლად იქმნა დატოვებული; ფლიგელ-ადიუტანტობა ებოძათ დიდს მთავრებს გიორგი და სერგი მიხეილის ძეთ. ხივის ხანი ორენბურგის ყაზახთა ჯარში იქმნა ჩარიცხული გენერალ-ლეიტენანტად. კავალერიის გენერლობა ებოძათ: დაღესტნის სამხედრო გუბერნატორად ნამყოფს თ. ჭავჭავაძეს და კავკასიის სამხედრო კორპუსის უფროსს თავადს ამილახვარს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში უმაღლესი მადლობა გამოეცხადათ: სტავროპოლისა, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა წინამძღოლებს.

წმ. ვლადიმირი მეოთხე ხარისხისა ებოძა გორის სასამართლოს

ჟუამაველს თავადს ციციშვილს; წმ. სტანისლავა მეორე ხარისხისა—საგანგებო მინდობილებათა მოხელეს მთავარმართებელთან უგანათლებულესს თავადს გრუზინსკისა და ქუთაისის ქალაქის მოურავს ბ-ნს ლოლუას.

წმ. ანნა მესამე ხარისხისა ებოძა მთავარმართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელეს, კამერ-იუნკერს თავადს მუხრანსკის.

*,* ხვალ ჩვენი თეატრის დამამშვენებელი არტისტი-ქალი მ. საფაროვ-აბაშიძე გამართავს ქართულ თეატრში წარმოდგენას, რომ შეიძლოს საექიმოთ წასვლა რუსეთში ან უცხოეთში. გაციების მიზეზით არტისტ-ქალს ყურს დააკლდა და ყველასთვის მისახვედრია, თუ სცენაზე მოღვაწისათვის ამ ნაკლს რა მნიშვნელობა აქვს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო არტისტები და სხვათა შორის ე. ს. მესხი. პროგრამა წარმოდგენისა საინტერესოა და იმედია საზოგადოება არ მოაკლებს თავის ყურადღებას საყვარელ არტისტ-ქალის სასარგებლოთ დანიშნულ წარმოდგენას.

*,* როგორც გვატყობინებენ, სადგურ გრაკალის ხიდი მხოლოდ ოთხის დღის შემდეგ იქმნება სრულიად მზად, ჯერ-ჯერობით ვაგონები ცალკ-ცალკე გადააქვთ. სახალხო მატარებელი-კი მხოლოდ დილით მიდის ბათუმისაკენ.

*,* ჩვენ მივიღეთ ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი „ციხე“, გამოცემა ძმ. თავართქილაძეთა წიგნის მაღაზიაში, № 62. წიგნი მოწონებულია სახალხო განათლების სამინისტროსაგან და შეიცავს 23 გვერდს.

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრება.

სხდომა გაიხსნა საღამოს 9 საათზედ, 13 მაისს, თ. ილ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა კრების საპატიო წევრის განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელს. შემდეგ წაკითხულ იქმნა ანგარიში. ანგარიშის იმ ადგილმა, სადაც სკოლების მდგომარეობაა აღწერილი, რამდენიმე შენიშვნა გამოიწვია. შემდეგ ბ. ნატროშვილმა განაცხადა, რომ, რადგან სკოლების გახსნის ნებას აღარ გვაძლევენ, საჭიროა სახალხო სამკითხველოები დავაარსოთ სოფლებშიო. ბ. ალ. თოიძემ სთქვა, რომ სოფლებში, რასაკვირველია, საჭიროა მაგვარი სამკითხველოები, მაგრამ ქალაქებში უფრო დიდი მოთხოვნილებაა, რადგან იქ უფრო ბევრია წერა-კითხვის მცოდნეო. გამგეობამ ბ. ნ. ცხვედაძისა და დ. კარიჭაშვილის პირით სრული თანხმობა განაცხადა ამ აზრზედ, მაგრამ დასძინა, რომ ღონისძიება არა გვაქვს სამკითხველოების დაარსებისაო. თითო სამკითხველოს უკანასკნელი სამასი მანეთი უნდა, გარდა ამისა საჭიროა სანდო პირი, რომ წიგნები არ გაიფანტოსო. თავმჯდომარემ უბრძანა ოქმში შეიტანონ ყოველივე რაც ითქვა ამის შესახებ გამგეობის საყურადღებოდ.

თ. გრ. აბაშიძემ სთხოვა გამგეობას, რაიმე ღონისძიება მიიღონ სახალხო კითხვების გასამართავად. ბ. ნ. მცხვედაძემ ამაზედ პასუხი უგო, რომ ლექციების კითხვა შეგვიძლიაო. შევადგინეთ პროგრამმა, გადათარგმნეთ ლექცია რუსულად, წარმოვიდგინეთ და ნებას აგიღებთ კითხვისასაო.

კამათობა გამოიწვია წიგნთ-საცავის შესახებ ანგარიშმა. ადგილის სივიწროვე მეტად საგრძნობელი შეიქმნაო, ალაგი არ არის წიგნების დასაწყობადაც კიო. ამიტომ ყველა ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ საჭიროა საკუთარი ბინა ექმნეს წიგნთ-საცავსაო (ან. ლულაძე, ექ. თაყაიშვილი), რომ უფრო უშიშარს მდგომარეობაში იქმნეს წიგნთ-საცვი, არ უნდა ვიხმაროთ ლამპარი და სანთელი, არამედ ელექტრონით გავანათოთო (გ. ჟურული ექ. თაყაიშვილი). ამაზედ ცხვედაძემ სთქვა, რომ სიამოვნებით შეგვიძლიან გაუწყოთ, რომ სრული იმედი გვაქვს მალე მოუპოვოთ წიგნთ საცავს საკუთარი ბინაო.

ბ. მ. ყიფიანი საჭიროდა სთვლის წიგნების ვაჭრობის წარმატებისათვის, რომ რკინის გზების სადგურებზედაც ვჰყიდოთ ხოლმე წიგნაკები; გამგეობის თავმჯდომარემ შეატანინა ესეც ოქმში საყურადღებოდ. შემდეგ გამგეობამ ითხოვა, ნება მოგვეცითო დავხარჯოთ ზოგიერთი თანხის ფული, (600 მან.) რომელიც თავის დანიშნულებას ვეღარ აასრულებს ან სიმცირის გამო და ან იმიტომ, რომ ის საჭიროება აღარ არსებობს, რომლისთვისაც იგი იყო გადადებულიო. კრება დასთანხმდა ამაზედ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ, თუ ვინიცობაა შემომწირველნი უკან მოითხოვენ, დაუბრუნდეთ ეს ფული. გათავდა თუ არა ყველა მორიგი კითხვების გარჩევა, თ. ჭავჭავაძემ ბოდიში მოითხოვა, ავადმყოფობის გამო აღარ შემიძლია დავრჩეო. მისი ადგილი დაიჭირა ბ. ხ. მცხვედაძემ. ბ. მცხვედაძემ წინადადება შეიტანა აირჩიონ საპატიო წევრად ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა. კრებამ ერთ ხმად მიიღო ეს წინადადება. მერმე წაიკითხეს წინადადება ი. გოგებაშვილისა მის შესახებ, რომ თ. ილ. ჭავჭავაძე და თ. აკაკი წერეთელი ამორჩეულ იქმნენ საპატიო წევრებად, რადგან მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენის ლიტერატურის წინაშე და გარდა ამისა პირველი ათი წელია, რაც წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არის. კრებამ აღტაცებულის ტაშის ცემით მიიღო ეს წინადადება. ბოლოს ამოირჩიეს წევრები. კრება დაიხურა $11\frac{1}{2}$ საათზედ.

## ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

12 და 13 მაისი

კრებამ განიხილა მოხსენება გამგეობისა ხარჯთ-აღრიცხვის და საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელის თანხის განაწილების შესახებ და ორივე მოხსენება შეუცვლელად დაამტკიცა. ადგილის უქონლობისა გამო ამ №-ში ვრცელს ანგარიშს ზემო აღნიშნულ საგანთა შესახებ ხვალ დავსტამბავთ.

—

სიტყვა ა. ი. კობიაშვილისა (ზედამხედველ კომიტეტის წევრი):

რაიცა შეეხება რევიზიას და ფინანსთა მინისტრის წინადადებას, ბატონებო, მე აღარა დამრჩენია-რა სათქმელი. ამ საგნის შესახებ ბევრი ილაპარაკეს და საკმაოდაც გამოარკვიეს იგი. ასე რომ თქვენ შეგიძლიანთ კარგად შეიგნოთ და სრულიად ჭეშმარიტი აზრი იქონიოთ ამ საგნისაგან აღძრულის საქმეთა შესახებ. ამ საგნის შესახებ გარდაწყვეტილი აზრი შეგიძლიანთ გამოსთქვათ ახლო მომავალში, როცა მოწვეული იქმნება საგანგებო კრება. მე მხოლოდ იმოდენად შევეხები რევიზიას, რამდენადაც იმის შემწეობით შეიძლება დასურათება ოპოზიციის ღირსებისა და განვითარებისა, რომელიც გუშინ აღნიშნა თ. ნ. ვ. ორბელიანმა.

სრული ჭეშმარიტებაა თ. ორბელიანის აზრი, რომ მეოთხმოცე წლების ნახევარში გაჩნდა ბანკში ოპოზიცია. მართალია ისიც, რომ 90 წლიდამ გაცხარებული ბრძოლა იწყება. მაგრამ ამ ბრძოლას არავითარი კავშირი არა აქვს იმ აზრთა უარმყოფელს მიმდინარეობასთან, რომელიც მის წინად იყო 80 წლებში. მაშინ ოპოზიციაში სულ სხვა პირები იღებდნენ მონაწილეობას, რომელნიც დღევანდელს ოპოზიციას არ ეკუთვნიან. იგინი ეკამათებოდნენ როგორც თ. ჭავჭავაძეს, ისე თ. ი. გ. მაჩაბელსაც. მაშინ ხომ ეს მეორე მჭიდროდ დაკავშირებული იყო პირველთან და ორივ სრულის თანხმობით მოქმედებდნენ. იმ ოპოზიციის იარაღი იყო ფაქტები და საბუთები და ამაებს ხმარობდნენ მხოლოდ საქმის სარგებლობის დასაცველად.

იმას-კი ნუ იფიქრებთ, რომ მე ჩემზედ ვლაპარაკობდე. არა! იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ბევრი ღვაწლი მიუძღვით ამ საქმეში და რომელნიც მართლა გამსჭვალულნი იყვნენ „წმინდისა და სასტიკის კრიტიკულის აზრით“.

მე არ შევეხები რამდენად ეხლანდელი ოპოზიცია ადგია ამ გზას კრიტიკისას, ამის შესახებ, დაე, თვით მთავრობისაგან დანიშნულმა რევიზორმა გვითხრას, იმ რევიზორმა, რომელიც ეხლანდელმა ოპოზიციამ თავისს მომხრეებთა შორის ჩარიცხა. მე-83 გვერდზედ თავისის მოხსენებისა რევიზორი ამბობს: 1891 წლამდის საზოგადო კრებას ეტყობა, რომ, ფორმალურის მხრით ზოგიერთი ნაკლულოვანება ჰქონდა, მაგრამ მშვიდობიანად და დიდის დაკვირვებით ექცეოდა ამ დაწესებულების საქმეს. საზოგადო კრების კონტროლს ბანკის საქმეებზედ ძლიერ კარგი გავლენა ჰქონდა. სამწუხაროდ, უკანასკნელს დროს იხატება მხოლოდ პარტიების ბრძოლა და პირადის ინტერესების შეტაკება... ეხლა თქვენ განსაჯეთ, რა აქვთ საერთო პარტიათა ბრძოლასა და პირადს ინტერესებს სასტიკსა და წმინდა კრიტიკასთან, რომლის აზრიც არის საქმისათვის სარგებლის მოტანა?

არ შემიძლიან არ მივაქციო თქვენი ყურადღება „შეუწყნარებლობის (нетерпимость) ოქმს“, რათა აგიხსნათ ნამდვილი აზრი იმ სიტყვებისა, რომლებიც წარმოსთქვა აქ თ. ივ. მაჩაბელმა ჩემს შესახებ,—თ. მაჩაბელმა ბრძანა, ვითომ მე ვაპირებდი ნელ ცეცხლზედ მისს წვას, მაშინ, როდესაც სხვებმა ერთბაშად შეწვა დაუპირეს.

მაგრამ ჯერ ვიდრე ამ სიტყვების ახსნას შევუდგებოდე, უნდა მოგახსენოთ, რომ განსამართლების შემოღება ეკუთვნის თ. ივ. მაჩაბელს და არა ზედამხედველს კომიტეტს. აი ფაქტები: 90-ში 15 მარტს კომიტეტმა თავისს სარევიზიო კომისსიის მოხსენებაში აღნიშნა,—გამგეობა შესცდა, რომ ვერ გამოარკვია ის უთანხმოება, რომელიც არსებობდა დაფასების აქტსა და დოკუმენტებს შორის ზიალოვის მამულის საზღვართა შესახებო. სწორედ ამავე დროს განიხილა ზედამხ. კომიტეტმა გამგეობის აზრი გაზეთ „კასპის“ რედაქტორზედ საჩივრის შესახებ კეზელის ფელეტონის გამო.

კომიტეტის ერთი წევრთაგანი დაბეჯითებით ამტკიცებდა, ეს საჩივარი საქმეს ზიანს მოუტანს, არ არის სამართლიანი და უნდა ველოდეთ, რომ უსათუოდ წავაგებთ. მაგრამ ამ აზრს არ დაეთანხმა გამგეობა და გარდასწყვიტა დაეწყო საჩივარი. თ. მაჩაბელი ამბობს: „აგერ ორი წელიწადია, რაც კომიტეტსა და გამგეობის შორის კამათობაა, რომელიც ხშირად პირადობის ნიადაგზე გადადის, ამას ბოლო უნდა მოვუღოთ უსათუოდ. ამისათვის საჭიროა კრებამ ამოირჩიოს კომისია სარწმუნო პირთაგან, რომელმაც უნდა გამოიძიოს სიმართლე გამგეობისა და კომიტეტის მოქმედებისა. ზოგიერთს აქ მყოფს ჰსურს დაგვეკითხოს ზიალოვის საქმის გამო, გაზეთის „კასპის“ შემთხვევისა და კომიტეტისაგან ამისათვის დანიშნულ სამი ათასი მანეთის დახარჯვის შესახებ. ტყუილად გვარწმუნებენ კომიტეტის წევრები, რომ მარტო იგინი არიან მცველნი ბანკის ინტერესებისა. გამგეობამ ისე წაიყვანა ბანკის საქმეები, რომ შვიდის წლის განმავლობაში მოიპოვა საკუთრებად მილიონად ღირებული მამული. კომიტეტში ისეთნი წევრნი არიან, რომლებთაც ათჯერ მეტი ერგებათ, მაგრამ ისეთნიც არიან, რომელნიც 25 მანეთადაც არ ღირან, მიტომ, რომ $2\frac{1}{2}$ საათს ჩაის სმაში ატარებენ. მიუცილებელია ამორჩევა კომისიისა, რომელმაც უნდა განასამართლოს ცილის-მწამებელნი“.

თქვენ კარგად იცით, რომ ეს არ გამართლდა. კარგი იქნებოდა გაგვერჩია ეს პირველი ჰანგები ეხლანდელის ოპოზიციისა, რადგანაც ძალიან საინტერესოა. ამაში იხატება ის მიმართულება, რომელსაც დაადგა ოპოზიცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეხლა ამისი დრო არა გვაქვს.

ხომ ხედავთ, რომ თ. მაჩაბელმა პირველად 90 წელში აღჭურვა საზოგადო კრება ზედამხედველის კომიტეტის განსასჯელად. რაიცა შეეხება ზიალოვის საქმეს პირჯვრის წერითა და ფიცით, პირად და წერილით იმას გვარწმუნებს, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია ამ საქმეშიო, მიუხედავად იმისა, რომ მაგისავე ხელ-მოწერილი ბანკის საბუთები სულ სხვას გვიმტკიცებს; ხოლო აქ თ. ჭავჭავაძეს კითხვაზედ პასუხად უგო, რომ დაფასების აქტსა და გირაოს საბუთებს შორის სრული უთანხმოებააო. სწორედ ამასავე უჩვენებდა ზედამხედველი კომიტეტი 90 წელში გამგეობას; თ. მაჩაბელი-კი გამგეობასთან ერთად (10 აპრილს 90 წ. № 813) ამბობდა, რომ ზიალოვის მამულის მიღება შესაძლებელია, რადგან არავითარი დაბრკოლება არ არსებობსო. 2. „კასპის“ რედაქციაზედ დღესაც არ შეუტანიათ საჩივარი. თუმცა გამგეობამ-კი გარდასწყვიტა ეს: ზედამხედველ კომიტეტის იმ წევრის წინააღმდეგ, რომლის გასასამართლებლად თ. მაჩაბელმა კომისია მოითხოვა. 3. ზედამხედველ კომიტეტს მიაჩნდა თავისი მოქმედება ყოვლად სამართლიანად და სიამოვნებით დასთანხმდა თ. მაჩაბლისაგან განწესებულს სამართალს, მაგრამ გამგეობა დღემდისაც არ გაგვყოლია სამართალში, რომელიც მოითხოვა მისმა წევრმა თ. მაჩაბელმა, თუმცა კომიტეტმა არა ერთხელ აღძრა ამის შესახებ ლაპარაკი და მიწერ-მოწერა, არა ერთხელ სთხოვა გამგეობას ამის შესრულება.

აი რა საბუთებითა და ფაქტებით აღჭურვილი იყო თ. მაჩაბელი, როცა 90-ში გამოილაშქრა ზედამხედველ კომიტეტზედ. განა ამის შემდეგ ნება აქვს რაიმე უკმაყოფილება განაცხადოს იმის გამო, რომ ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის წევრებმა მსჯელობა იქონიეს თ. მაჩაბლის მიერ ოქმზედ უსაფუძვლო შენიშვნების მიწერის შესახებ და გარდასწყვიტეს, რომ ამგვარი შენიშვნები „შეუწყნარებელნი“ არიანო.?

მე პირადად წინააღმდეგი ვარ ამნაირის მსჯელობისა თ. მაჩაბლის შენიშვნების შესახებ. 90-ში და 91 წ., როცა ეგრედ წოდებული „არსებითი პრინციპები“ ეხლანდელ ოპოზიციისა, გამოქვეყნებულ იქმნა თვით თ. მაჩაბლის სიტყვებითა და წერილებით, მისი მოქმედება კარგად მესმოდა, სრულიად გარკვეული აზრი შევადგინე მის შესახებ. მაგის შენიშვნების გარჩევა იმას ნიშნავს, რომ მათ ყურადღებას ვაქცევთ იმაზე მეტს რამდენისაც ღირსნი არ არიან. ყოველთვის ვურჩევდი ხოლმე ზედამხ. კომიტეტს და გამგეობას ნუ მიაქცევთ ყურადღებას, დაე სწეროს თ. მაჩაბელმა რაც ეჩხიროს-მეთქი. მიუხედავად ამისა, თქვენ თვით გაიგონეთ, რომ ბრალი დამდო ვითომ ნელ ცეცხლზედ უპირებდი შეწვას. მე იმის უარს არ ვამბობ რაც მინდოდა, ხოლო აი რა მინდოდა და რა მიზეზით.

კომიტეტისა და გამგეობის იმ სხდომაზედა, როცა არჩევდნენ თ. მაჩაბლის აღნიშნულ შენიშვნას, გამგეობის თავმჯდომარემ თ. ჭავჭავაძემ განუცხადა, რომ ამგვარი შენიშვნები მოსვენებას არ აძლევს გამგეობას, ტყუილუბრალოდ დროს აკარგვინებს მით და შეუძლებლად ხდის საქმის რიგიანად წარმოებას; ამიტომ საჭიროდ ჰრაცხს ამას ყურადღება მიაქციოს ზედამხ. კომიტეტმა გამოიძიოს ნამდვილი მიზეზი ასეთის მოვლენისა და მიიღოს რაიმე ზომები, რადგან ეს მისი მოვალეობაა. ყოველივე ეს გაიმეორეს გამგეობის სხვა წევრებმაც, გარდა თ. მაჩაბლისა. ამის შემდეგ „მიწერილები“ (приписки) თ. მაჩაბლისა და სხვების, უყურადღებოდ უნდა დაგვეტოვებინა ჯერ-ჯერობით და მიუცილებლად მიმაჩნდა ამგვარის მდგომარეობისათვის მიგვექცია სრული ჩვენი ყურადღება. ამიტომაც ვურჩიე კომიტეტს გამგეობის წინადადებისათვის ყურადღება მიექცია და გამოეძიებია საქმის ამგვარი მდგომარეობა. მართლაც ეს ჩემი წინადადება სწორედ ნელცეცხლზედ წვას ემსგავსებოდა, თუ აღმოვაჩენდით საქმეებში თ. მაჩაბლის გამამტყუნებელს საბუთებს, საბუთებს, რომელთაც თ. მაჩაბლის შესახრაკავი ნაკვერჩხლის ადგილი უნდა დაეჭირა, მაგრამ თუ ეგრეთი საბუ-

თები არ აღმოჩნდებოდნენ თ. მაჩაბელი გაიმარჯვებდა და მისი წინააღმდეგნი გამგეობის წევრნი, თვით შეიწოდნენ ამ ნელ ცეცხლზედ. აი რა მინდოდა მე. თ. მაჩაბელს მიაჩნია ეს სურვილი იმის მომასწავებლად, რომ ვითომ მისი „ცეცხლზედ ნელ-ნელა შეხრაკვა მინდოდა“. რატომ? რატომ ის არ მინდოდა ვითომ, რომ მას გაემარჯვნა და მისი წინააღმდეგნი დამარცხებულიყვნენ? რას უნდა დაეწვა იგი ცეცხლში, თუ მართალი იყო? მხოლოდ ის არ დაინახავს ჩემს წინადადებაში ასეთს აზრს, ვინც იცის და დარწმუნებულია, რომ ფაქტები და საბუთები თ. მაჩაბლის წინააღმდეგ ღაღადებენ. ამიტომაც სრული სიმართლე მაქვს აქედამ ის დასკვნა გამოვიყვანო, რომ თვით თ. მაჩაბელი, რომელმაც კარგად იცის თავისის საქმის ვითარება, თავისი აზრები და მიწერილები და რომელიც ჩემს წინადადებაში „ცეცხლზედ ნელ-ნელა ხრაკვას ხედავს“, დარწმუნებულია, რომ თვით გამტყუვნდება და გამგეობა გამართლდება, თუ არა და რად იწოდა ხელი ცეცხლზედ. თუ ბატონებო, თ. მაჩაბელი დარწმუნებულია, როგორც გვაჩვენებს ზემო მოყვანილი ლოღიკური დასკვნა, რომ მისი მოქმედება მისივე დამწველია, რასაკვირველია, ეს სრული სინამდვილე ყოფილა, რადგან თავისი მოქმედება მან ყველაზედ უფრო კარგად იცის. აშკარაა ამ დასკვნას უნდა დავადგეთ. მე ბრალი დამდო თ. მაჩაბელმა, ვითომ მისი „ცეცხლზედ ნელ-ნელა შეხრაკვა“ მდომოდეს, მაგრამ ამით სულის სიღრმიდამ ამოიკვნესა თავისივე ღრმა რწმუნება — რომ მისი მოქმედება ბანკში ისეთია, რომელიც მას „ნელ-ნელად შეხრაკვის“ ღირსად ჰქმნის. სხვანაირადაც მტკიცდება ეს დასკვნა: იმ დროს, როცა ზემოხსენებულს სხდომაზედ მისი ამხანაგები ბრალსა სდებდენ, ბანკის საქმეებს აფერხებს და მის რიგიან მიმდინარეობას აჩერებსო, და როცა მათ მოსთხოვეს ზედ. კომ. გამოიძიეთ მოქმედება არა თუ თ. მაჩაბლის, არამედ გამგეობის სხვა წევრებისაცაო, ერთი კრინტიც არ დაუძრავს და არ გამოუცხადებია თანხმობა ამ წინადადების შესახებ.

ეხლა შევუდგეთ განხილვას ეგრედ წოდებულის თ. ი. მაჩაბლის „დოკლადნაია ზაპისკისას“ და მასში გამოთქმულს „მთავარ აზრს“ ოპოზიციისას. ოპოზიცია, სცდილობს თავისი მოქმედების ძალა მნიშვნელობა დაამყაროს რევიზორის ანგარიშზედა და ბ. მინისტრის წინადადებაზედ. „მთავარი აზრი“ ოპოზიციისა, მისი „ტეზისები“ 90—91 წელში წარმოდგენილნი, რომელნიც ამ დღიდამ მის დროშაზედ არიან მოქარგულნი, მოკლებულნი არიან საფუძვლიანს შინაარსს. ამიტომაც რაღა თქმა უნდა, ზემოხსენებული საბუთები ვერ გამოადგებათ მათის აზრების დასამტკიცებლად. მე სრულიად მეტად მიმაჩნია ამ საბუთებს მივმართო ჩემის აზრის განსამტკიცებლად. განა საჭიროა რევიზორის მოხსენება და მინისტრის მითითება, რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება ყოველთვის ჭეშმარიტებაა, ხოლო ტყუილი-კი ტყუილი? არ შეიძლება, რომ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ თუ რა მიზეზმა გამოიწვიეს ეგრედ-წოდებული „დოკლადნაია ზაპისკა“. თვით ზაპისკა აღგვინიშნავს „იმ განსაკუთრებულს პირობებს, რომელშიაც ჩამაყენეს ჩემმა (თ. მაჩაბლის) თანამოსამსახურეებმაო, — ოქმს მისის ზოგიერთ მოქმედების შეუწყნარებლობისას, და მას, რომ არა მაქვსო შეძლება მოვისმინო აზრი საზოგადო კრებისა, ან და პირუთვნელის და საქმის მცოდნე პირებისა გამგეობის თავმჯდომარის თ. ჭავჭავაძის მოქმედების შესახებაო.» მაშ, როგორცა ჰგავს, თ. მაჩაბელი რომ განსაკუთრებულს პირობებში არ იყოს და შეუწყნარებლობის ოქმი არ არსებობდეს, მაგრამ ბანკის საქმეები-კი იმავე მდგომარეობაში იყოს, რომელშიაც ეხლა არის, აღარ მიიჩნევდა საჭიროდ მიერთმია სამინისტროსათვის განსახილველად თავისი ზაპისკა. მაშასადამე, დაწესებულების საქმე თვით თ. მაჩაბელს თავისის პირადის ანგარიშებისათვის დაუმორჩილებია. ხოლო ის მიზეზი, რომ ვითომ „არ ქონდა შეძლება საზოგადოების აზრი მოესმინა“ სრულიად ეწინააღმდეგება მართალს. 1894 წლის 14 მაისს საზოგადო კრებაზედ ამ აზრით შემოიტანეს წინადადება, კიდევაც დაასახელეს ისეთი პირები, რომელნიც ყოველის პატივისცემის ღირსნი არიან და რომელთაც საქმეც კარგად იციან, მაგრამ თ. მაჩაბელმა უარი განაცხადა ამაზედ. ასე რომ „დოკლად. ზაპისკ.“-ის ორი მიზეზი პირადის ხასიათისაა, ხოლო მესამე ჭეშმარიტებას მოკლებული. აი რა ნიადაგზედ არის აშენებული ესრედ წოდებული «დოკლ. ზაპისკა», რომელიც მიართვა თ. მაჩაბელმა რევიზორს ფინანსთა მინისტრისათვის წარსადგენად.

ეხლა განვიხილოთ საკუთარი პროგრამა თ. მაჩაბლისა, ის პროგრამმა, რომელიც დაუსახავს მას იმ დღიდამ რა რომ გამგეობის წევრად ამოირჩიეს. სწორედ რომ მარტივია და ადვილად გასაგები ეს პროგრამმა. 1) ბანკის ოპერაციების კანონიერად გაფართოება 2) ყოველის მსესხებლის ერთნაირად მოპყრობა და 3) კრედიტის გახსნა ყველასათვის, ვინც-კი საიმედო გირაოს წარმოადგენს?..

როგორცა ჰხედავთ ეს პროგრამმა არის ერთი პატარა ნაწილი იმ მოვალეობათა, რომლის აღსრულებაც მოეთხოვება წესდების ძალით გამგეობის ყოველს წევრს: გამგეობა ვალდებულია გააფართოვოს კანონიერი მოქმედება ბანკისა და საქმე უნდა წაიყვანოს მხოლოდ კანონიერადა და მართებულად; ყოველს მსესხებელს უნდა მოექცეს ერთნაირად და გაუხსნას კრედიტი, ვინც-კი საიმედო გირაოს წარმოადგენს და სხვ... ეს როგორღაც გაუგებარია ჩვენთვის: თუ თ. მაჩაბელს შეგნებული ჰქონდეს თავისი მოვალეობა—არ შეიძლება ისიც არ ესმოდეს, რომ წესდების პროგრამა უფრო ფართოა და უფრო დიდს რასმე ავალებს გამგეობას, და თუ თ. მაჩაბელს კარგად ჰქონდეს შეგნებული წესდება, მაშინ სასაცილოა ცალკე პროგრამმის დასახვა, რომელიც წესდების ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენს. ამიტომაც შესანიშნავი პროგრამმა, რომელიც პირველად დაგვისახა „დოკ. ზაპ.“ საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია მისა, რომ თ. მაჩაბელს ვერ გაუგია ვერც ამ პროგრამმის შინაარსი და ვერც ის, თუ რას ავალებს წესდება.

მთავარი საგანი „დოკლად. ზაპისკისა“ და ოპოზიციისაგან წარმოგენილი ისაა, რომ 1883 წლ. ე. ი. თ. მაჩაბლის გამგეობის წევრად აღმორჩევამდის, ბანკმა იზარალა 500 ათასი მანეთი, ხოლო თ. მაჩაბლის გამგეობის წევრად ამორჩევის შემდეგ 500 თუ 5000 მან. რომ ბანკმა იზარალა 500 მანეთზედაც მეტი, თქვენ დიდიხანია იცით, რადგან ეს ზარალი ანგარიშში იყო მოხსენებული, რომელიც დაამტკიცეთ თვით თქვენვე,—ამ ფაქტის უარ-ყოფა შეუძლებელია. აქ სხვა რამ არის საყურადღებო. თ. მაჩაბელს ეგონა ახალი რამ გვაუწყა ამის თქმით, როცა 1890—91 წელში ოპოზიციის საგნად ღიარა იგი. ეს საგანი აღძრა მანა საზოგადო კრებაზედ გამგეობისა და ზედამხ. კომიტეტის გარეშე, ე. ი. კანონიერს გზას ასცდა, რომელიც ყველაზედ უფრო კარგად უნდა სცოდნოდა მას, როგორც წევრს გამგეობისას. ამ საგნის აღძვრის აზრი-კი ის არის, თუმცა ეს აზრი „დოკლ. ზაპისკაშიაც“ ნათლად არ არის გამოთქმული, რომ თ. ი. მაჩაბლის გამგეობის წევრად ამორჩევის შემდეგ საქმე სულ სხვანაირად წავიდა— კარგად მოეწყო ბანკის ბედი; რომ ბანკისზარალი გამგეობის სხვა წევრების ბრალია; რომ ბანკის წარმატებისათვის მარტო მას ერგება მადლობა. აბა ამ მხრით გავსინჯოთ ეს საგანი, და ჩვენი დასკვნა დავამყაროთ „დოკლად. ზაპისკი“-დგან მოყვანილს საბუთებზედ, ე. ი. თვით თ. მაჩაბლის სიტყვებს დავემყაროთ და დავეთანხმოთ, რომ ბანკს მოუვიდა 500 ათასი მან. მეტი ზარალი იმ მამულების გამო, რომელიც მიიღო ბანკმა გირაოდ 83-ში თ. მაჩაბლის გამგეობის წევრად შესვლამდე. დავეთანხმოთ თ. მაჩაბელს; რომ დიდი უმეტესობა ზარალის მომცემ მამულებისა დაგირავებულია 81—82 წლებში, რომელნიც თ. მაჩაბელმა მარტოდ მარტო დააფასა, როცა დამფასებელად იყო, 10 კი არა, როგორც გამგეობა უჩვენებს შეცდომით, არამედ 61 და ხოლო დამფასებელ კომისიის სხვა წევრებთან ერთად დააფასა 33 კი არა 103 მამული. ასე რომ, როგორც თვით თ. მაჩაბელის სიტყვებიდამ სჩანს, 81—82-დე შემდეგ გირაოს ისე კარგად აფასებდნენ, რომ მამულებს დიდი ზარალი არ მოჰქონდათ გაყიდის დროს; მხოლოდ 81 და 82-ში დაფასებულმა მამულებმა აზარალეს საშინლად ბანკი. მივაქცევ თქვენს ყურადღებას ამ მტკიცედ განსაზღვრულს ხანას და აგრეთვე მას, რომ სწორედ 81-ში ამოირჩიეს თ. ი. მაჩაბელი თ. ილ. ჭავჭავაძის მფარველობითა და მეოხებით დამფასებელის კომისიის წევრად და ამ თანამდებობას ასრულებდა თ. მაჩაბელი 81 და 82 წელში ე. ი. სწორედ იმ ხანაში, რომელშიაც დაფასებულმა გირაოებმა აზარალეს ბანკი. 83-ში თ. მაჩაბელი გადადის გამგეობის წევრად იმავე თ. ილ. ჭავჭავაძის წყალობით. ამ ზარალის ხანაში იგივე ინსტრუქცია მოქმედობდა, რომელიც, როგორც თ. მაჩაბლის „დოკლ. ზაპისკაც“ გვეუბნება მოქმედობდა ბანკის დაარსებიდამ 90-დის ე. ი. 15 წელს. დამფასებელი კომისია შეიცვალა ამ ზარალის ხანაში მხოლოდ მით, რომ თ. მაჩაბელი ამოირჩიეს მის წევრად. ცხადია, რომ ამ ხანაში—81—82 წლებში გაზვიადებულის დაფასების სისტემის ახსნა სხვაფრივ არ შეიძლება თუ არ იმით, რომ დამფუძნებელი კომისსია შეიცვალა, რადგან თ. მაჩაბელი ამოირჩიეს დამფასებლად. ვიმეორებ, რომ გაზვიადებული დაფასება თ. მაჩაბელმა შემოიღო და არა სხვამ ვინმემ, რადგან სხვა დამფასებლები ძველები იყვნენ და იგინი მამულის დაფასებაში ძლიერ ფრთხილად იქცეოდნენ. ამიტომ რჩება, რომ ეს დამღუპველი სისტემა სწორედ მხოლოდ იმ ხანაში მეფობს 81—82 წლ., ვიდრე თ. ი. მაჩაბელი დამფასებელის კომისსის წევრად იყო. 81-დის ამ სისტემას ადგილი არა ჰქონდა, რადგან თ. მაჩაბელი დამფასებლად მხოლოდ 81-ში აღირჩიეს და დაანება თუ არა თავი დამფასებლობას, ეს სისტემაც მოისპო. ეს ფაქტები თვით თ. მაჩაბლის „დოკლად. ზაპისკ“ მოყვანილი და მხოლოდ მათი დამოკიდებულების შეგნებით შეიძლება ნათლად გამოირკვიოთ ნამდვილი მიზეზი გაზვიადებულისა და მაზარალებელის დაფასებისა. ეს მიზეზი გახლავთ ის, რომ თ. მაჩაბელმა დამფასებლად ყოფნის დროს ამორჩევისათანავე შეიტანა კომისიაში „ანკარა ნაკადი“, ნაკადი დამღუპველი გაუფრთხილებელისა და გაზვიადებულის დაფასებისა!.. რომ თ. მაჩაბელი გაზვიადებულის დაფასების სისტემის მომხრეა, ამას ნათლად გვიმტკიცებს თვით მისგან დაფასებული მამულები (ამიროვისა, მირზოევისა. სარაჯიშვილისა და მირიმანოვისა). შეიძლება იკითხოთ, როგორღა მოხდა რომ კომისიამ დაუჯერა და შეითვისა მისი აზრი გაზვიადებულის დაფასებისაო? ეს ადვილი ასახსნელია მით, რომ თ. ივ. მაჩაბელს სწყალობდა და განსაკუთრებულს ყურადღებას აძლევდა თ. ჭავჭავაძე, ამიტომაც თ. მაჩაბელს კომისიაზედაც გავლენა ჰქონდა. ასე რომ, ზარალისათვის ყველაზედ უწინ მადლობელი უნდა ვიყოთ თ. ივ. გ. მაჩაბელისა!.. დააკანონა, თუ არა სხვა დამფასებელთან ერთად თ. მაჩაბელმა გაზვიადებული ფასი გირაოდ მიღებულ მამულებზედ 1.007.000 მანეთამდე,—83 წლ. მაისში გადავიდა გამგეობის წევრად.

სწორედ ამ დროს ეს აუარებელი დაგირავებული მამულები სარგებლის შემოუტანლობის გამო ერთბაშად გასასყიდად ინიშნებიან. რასაკვირველია, თ. მაჩაბელს ეშინოდა, რომ მისგანვე დაფასებული და საზოგადოდ 81-ში და 82-ში დაგირავებული მამულები ბანკისათვის საზარალოდ არ გაყიდულიყო და ამიტომ სცდილობდა ვაჭრობა გადაედვა. ამიტომაც მოვალეებს ეძლევათ დიდი შეღავათი და მამულებს ზედ ედება დიდი რიცხვი დარჩენილის გარდასახადი (ნედოიმკა), რაც მანამდის, ვიდრე მაჩაბელი გამგეობის წევრად არ აღირჩეოდა, არა ყოფილა. რომ უფრო დაგარწმუნოთ მოგიყვანთ რიცხვს დარჩენილის გარდასახადისას: 1879 წლის 1 იანვრამდის 1823 მ. 1 ივლისს—6354 მ.; 1880 წ. 1 იანვრამდე—10,708 მ.; 1 ივლ. 80 წ. 7600 მ.; 1 ივლ. 83 წ. როცა თ. მაჩაბელს პირველად შეეძლო თავისი გავლენა გამოეჩინა მათს სიდიადეზედ, „ნედოიმკის“ ზრდამ მიაღწია 43,140 მ. ხოლო 1884 წ. 1 იანვრისათვის 41,746 მან. შემდეგ გამგეობა აღარ უჯერებს თ. მაჩაბელს და „ნედოიმკების“ რიცხვიც თვალსაჩინოდ კლებულობს: 84 წ. 1 ივლ. 24.545 ხოლო 1885 1 იანვ. 10817 მან. ამ რიცხვიდამ სჩანს: როგორი გავლენა იქონია გამგეობის ახალმა წევრმა. ამ გავლენის წყალობა იყო, რომ თ. მაჩაბლის გამგეობის წევრობის პირველ ხანებში „ნედოიმკები“ უცნაურად გაიზარდნენ. ამ მოვლენამ-კი და თანაც გაზვიადებულმა ფასმა დაბადა ის ზარალი, რომელზედაც მიგვითითა თ. მაჩაბელმა. ზემო მოყვანილის საბუთებიდამ სჩანს—ვისი ბრალია ბანკის მეტის-მეტად დაზარალება. უმთავრესი ბრალი უნდა დაედვას თ. ივ. გ. მაჩაბელს დამფასებელს და თ. ივ. გ. მაჩაბელს—გამგეობის წევრს. ამის შემდეგ რაღა საფუძველი აქვს თ. მაჩაბელს თავის-თავის გარდა სხვა ვინმე გაამტყუნოს ნახევარ მილიონის ზარალში? განა შეეძლო მას განეკარგებინა ბანკის საქმეები, როგორც ამბობს თავისს „დოკლად ზაპისკაში“, როცა ამ საქმეების განკარგების თავი და თავი არის რიგიანი და ნამდვილთან სწორი დაფასება? მეტადრე მაშინ, როდესაც პირადად მან დააფასა სარაჯიშვილისა, მირიმანოვისა, ამიროვისა და მირზოევის მამულები, ხოლო სხვებთან ერთად მრავალი მაზარალებელი დაფასება მოახდინა?!. არა, ბატონებო, ბანკის საქმეების გაუმჯობესობასა და მოწეს-რიგებას მიაქცია დიდი ყურადღება გამგეობამ ზარალიანის წლების შემდეგ. გარდა ამისა 84—86 წლ. გაჩნდა გულმტკივნეული ოპოზიციის სული და ეს მოვლენა იმაშიაც ამოიხატა, რომ რამდენიმე წევრი იმ ოპოზიციისა არჩეულ[illegible] ზედამხედველ კომიტეტ[illegible] დაიწყეს მათ ნაყოფიანი[illegible] საქმეების მოწეს-რიგე[illegible] ჯობესობისათვის. ამ[illegible] ბელი საბუთები ინ[illegible] ში. ეს საბუთე[illegible] იმ ოპოზიციის [illegible] რომელიც მეოთხმოცე [illegible] გამოჩნდა და რომელსაც [illegible]არადა ჰქონდა მხოლოდ წმინდა და სასტიკი კრიტიკა. ეხლა თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმ საქმეს, რომელსაც მაშინდელი ოპოზიცია უდგა თავში, არა ჰქონდა არავითარი პირადი ანგარიში სარჩულად.

გრ. აბაშიძე.

(დასასრული ხვალ).

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**მოსკოვი** 11 მაისს, საღამოს 8 საათზსა და 5 წუთ. 10 მაისს საღამოს გარეშე საქმეთა მინისტრს ჰქონდა სადღესასწაულო წვეულობა. წვეულობას დაესწრნენ უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი მოსკოვისა, საიმპერატორო გვარეულობის წევრნი, უცხოელი პრინცები, საგანგებო საელჩონი, ელჩნი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრები და სხვა დიდებულნი. დიდი საზოგადოება დაესწრო: 12 საათზედ ჯერ კიდევ ყველა არ მოსულიყო და ოთახები გავსებული იყო. ყოველ სტუმარს შეხვდებოდა ხოლმე თავადი ლობანოვ-როსტოვსკი. წვეულობამ ძალიან მხიარულად გაიარა.

გუშინ სინჯეს კრემლის გარეშე ნაწილების გაჩაღება: უცხო და მშვენიერი რამ სანახავი იყო, 11 მაისს დაიწყეს ჰეროლდებმა გამოცხადება რა დღეს აღსრულდება წმინდა კურთხევა გვირგვინისა. ჰეროლდის რაზმებ-

…არიან: პირველში—გენერალ-ადიუტანტი თავადი ობოლენსკი, დაგვირგვინების ცერემონმეისტერი თ. ურუსოვი, პირველი ცერემონმეისტრები თავადი ვასილჩიკოვი და მეშჩერსკი, ჰეროლდი პრიბილსკი და სეკრეტარი ოგენპოლი; მეორეში — გენერალ-ლეიტენანტი ლობკო, დაგვირგვინების ობერცერემონმეისტერი ვონლიარსკი, ცერემონმეისტრები დრაშუსოვი და გრაფი ტოლსტოი, ჰეროლდი კროლოვი და სეკრეტარი ხოდობაი. გამოცხადება მოხდა იმ წეს-რიგით, როგორიც ცერემონიაში იყო გამოქვეყნებული. ჰეროლდები ურიგებდნენ ხალხს მშვენიერად დაბეჭდილს განცხადებას. მშვენიერი სანახავი იყო კორტეჟი, როცა სპასკის ბჭიდამ გამოვიდა კრასნი მოედანზედ, საცა კავალერგრადისა და ცხენოსანთა პოლკი იყო დაყენებული, დღეს მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ წარუდგნენ კრემლის სასახლის ეკატირინეს ზალაში საგანგებო საელჩო: ნიდერლანდისა, ოსმალეთისა, პორტუგალიისა, სერბიისა და მაკედონიისა.

11 მაისს 3 ს. 45 წ. მოვიდნენ მემკვიდრე და პრინცი შვეციისა და მონაკოს პრინცი. რკინის გზის სადგურზედ საპატიო დარაჯი იყო დაყენებული ლიტოვის პოლკის როტისაგან. სტუმრებს შეხვდნენ საიმპერატორო გვარეულობის წევრნი, გენერალ-ადიუტანტი დრაგომიროვი, …სკოვის სამხედრო …როსი კოსტანდა, …ნი, მოსკოვის …იის საელჩო …ის ელჩი. … პირვე- …შვეციის …უხვდა …ანდ- … …ვე- … და- … დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ერთად. შემდეგ გამოვიდა ვაგონიდამ პრინცი მონაკოისა ამალით, რომელსაც შეხვდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე. დარაჯის დათვალიერების შემდეგ პრინცი წავიდა სადგურიდამ დიდ მთავარ პავლე ალექსანდრეს ძესთან ერთად.

11 მაისს წმ. კირილესა და მეთოდის დღესასწაულის გამო თავადის ფერდინანდის სურვილით „ქრისტე მაცხოვრის“ ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა. წირვა შეასრულა დეკანოზმა იოანე კრონშტატელმა.

12 მაისი.

**პარიჟი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოაწერა ხელი დეკრეტს, რომლის ძალითაც ვატიკანში ელჩად დაინიშნა პუბელლი და უმთავრესი დირექტორი ფოსტისა და ტელეგრაფისა სელვიე სენის დეპარტამენტის პრეფექტად.

**ვენა.** აქ მოვიდა დეპუტაცია პაპისა, რომელიც მიდის მოსკოვში. დეპუტაციას თავში უდგია დე-კროა.

აქ მიიღეს დეპეშა, რომ კრიტოსის კუნძულზე ოსმალთა რამოდენიმე რაზმი დამარცხდა.

**კანდია.** აჯანყებულები თავს დაესხნენ ჯარებს. ეს ჯარები გაგზავნილი იყვნენ ვამოსის გარნიზონის განსათავისუფლებლად აჯანყებულთ ხელიდამ. ჯარებს დიდი ზიანი მისცეს აჯანყებულებმა.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იუწყება, თავრიზიდამ გვატყობინებენო, ყარადაგში და არდაბიმში უწესოება მოხდაო. აჯანყებულთ რამოდენიმე სოფელი აიღესო. ზომებია მიღებული წესიერების დასამყარებლადო. თავრიზში პურის უქონლობამ საზოგადო უკმაყოფილება გამოიწვია.

**პეკინი.** სულ ახლო ხანში მთავრობა დააწესებს ბანკს, რომლის გამგეობაც მიენდობა ადმინისტრატიულს საბჭოს. ბანკის მმართველთ მიეცემათ საკუთარს განკარგულებაში 10 მილიონი ტაელი.

13 მაისი.

**მოსკოვი.** 13 მაისს 4 საათის დასაწყისზედ მოხდა სადღესასწაულო გადატანა საიმპერატორო რეგალიებისა ორუჟეინაია პალატიდამ კრემლის დიდი სასახლის ტრონნ ზალაში. 2 ს. 45 წ. ორუჟეინაია პალატაში შეიკრიბნენ უმაღლესნი მოხელენი თავისი ასისტენტებით, რომელთაც უნდა წაეღოთ რეგალიები წესისამებრ. უმაღლესმა მარშალმა გრაფმა პალენმა ჩააბარა რეგალიები დიდებულთ. რეგალიების გარდაცემის შემდეგ დაიწყო მსვლელობა ცერემონიალის დაგვარად. საიმპერატორო რეგალიები მიჰქონდათ ოქრომკედის ფარჩით და ბალიშებით, რომელთაც ჰქონდათ ნაციონალურის ფერის ფოჩები. წმ. ანდრიას ორდენის პატარა ჯაჭვი მიჰქონდა მ. ნ. ოსტროვსკის, სახელმწიფო დროშა პ. ა. შუვალოვს, სახელმწიფო ბეჭედი თ. ლობანოვ-როსტოვსკის, სახელმწიფო ხმალი—ნ. ს. განეცკის, ხელმწიფე იმპერატრიცას პორფირი ნ. ი. სტოიანოვსკის, ხელმწიფე იმპერატორის პორფირი წმ. ანდრიას ორდენის დიდი ჯაჭვით ბ. პ. მანსუროვს და ე. ა. პერეცს, სახელმწიფო სფერა დ. ნ. ნაბოკოვს, სკიპტრა გრაფ ი. დ. დელიანოვს ხელმწიფე იმპერატრიცის გვირგვინი გრაფ ფ. ლ. გეიდენ მეორეს, ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინი—გრაფ დ. ა. მილიუტინს. რეგალიების გვერდით მიდიოდნენ ასისტენტები, მსვლელთა ორ-კუთხივ სასახლის გრენადერები. ბოიარსკი მოედანზედ რეგალიებს შეხვდნენ კამერფურიერი და ორი ჰოფ-ფურიერი, ორი ცერემონ მეისტრი, ორი კამერჰერი და ორი კამერიუნკერი, ვლადიმირსკი ზალაში—ჰოფმარშალი გრაფი ბენკენდორფი და ტრონნი ზალაში ობერ ჰოფმარშალი თავ. ტრუბეცკოი. რეგალიები მიაცილეს ტრონნი ზალამდის, უმაღლესმა მარშალმა, ობერ ჰოფ-მარშალმა, ჰოფ-მარშალმა. კამერჰერებმა და კამერიუნკრებმა. ტრონნი ზალაში შეხვდა უმაღლესი მარშალი და დააწყო მაგიდაზედ, რომელიც ტახტის მარჯვნით სდგას, ხოლო დროშა-კი მაგიდას უკან დააყუდა. ამის შემდეგ მაგიდასთან დადგნენ მორიგი კამერჰერები და კამერიუნკერები და დარაჯი სასახლის გრენადერებისაგან. ნათელი მზიანი დღე კიდევ უფრო ამშვენიერებდა მსვლელობას. 13 მაის საღამოს 4 საათზედ მოვიდნენ მათის იმპერატორებითი უდიდებულესობანი ალექსანდრეს სასახლიდამ კრემლის დიდ სასახლეში. საღამოს 7 საათზედ გარდახდილ იქმნება დიდი მწუხრი, რომელსაც დაესწრებიან მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი.

დაგვირგვინების წესისამებრ, რომელიც უძველესი დროიდამ ჩვეულებად არის დადებული მოსკოვის ყველა ეკკლესიებში აღასრულეს დიდი მწუხრი სადიდებლად სამება ერთასებისა და მოსკოვის სასწაულთ-მომქმედთა პეტრესი, ალექსის, იონის ფილიპპეს და ღირსისა მამისა სერგის.

**პარიჟი.** დაგვირგვინების დღესასწაულის გამო „ოპერაში“ წარმოდგენა იყო გამართული, რომელზედაც ხალხს უფასოდ უშვებდნენ. ოპერის თეატრი და მრავალი სახლები მოწყობილია საფრანგეთისა და რუსეთის ბაირაღებით. 14 მაისს ჯარები პარისის გარნიზონისა დათხოვნილ იქმნებიან. კაზარმებში ღვინოს დაურიგებენ. სამხედრო რიგის დარღვევისათვის დასჯილთ ეპატიებათ სასჯელი. სამხედრო სასწავლებლების მოსწავლეები ამ დღეს დათხოვნილ იქმნებიან.

14 მაისი.

**მოსკოვი.** უმაღლესი მანიფესტი ნაბოძებ წყალობათა შესახებ $15^1/_2$ გვერდს შეიცავს. ამ მანიფესტით შეღავათი ეძლევათ იმათ, ვისზედაც შეუტანელი გარდასახადებები და ჯარიმებია დარჩენილი და სხ. *)

**მოსკოვი.** დილის 7 საათზედ შეიკრიბნენ კრემლის სასახლეში ყველა ისინი, ვინც მიძინების ტაძარში ცერემონიაზე მონაწილეობას მიიღებდნენ. დილის 5 საათიდამვე კრემლის გარშემო ჯარები იდგნენ. სასახლის წითელ-კარებიდამ მიძინების ტაძრისაკენ მისავალ გზაზედ აქეთ-იქით ჯარები იდგნენ მუსიკით. ხარების ტაძართან სასახლის მემუსიკეთა ხორო იდგა. დილის $7^1/_2$ საათზედ დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ გამოწყობილი ჯარები დაათვალიერა. სოფლის საზოგადოებათა მამასახლისები და უხუცესნი ტაძრის მოედანზედ იდგნენ. გასავალი გზა, დიდის ივანეს გარშემო, მიძინების ტაძრის ჩრდილო კარი-ბჭედამ მთავარანგელოზის ტაძრისაკენ მთლად წითელის მაუდით იყო დაფენილი. ამაღლებულ ადგილებზედ მრავალი მანდილოსნები იდგნენ მშვენიერის კაბა-სამკაულით გამოწყობილნი. სადიპლომატო ამბიონი (ორსართულიანი) უცხოელ პრინცების ამალით იყო სავსე; ძირის სართულში ბუხარის ემირი და ხივის ხანი ისხდნენ. დილის რვა საათზედ წითელ კარებთან ორი ბალდახინი მიიტანეს: ერთი პატარა—ქვრივის იმპერატრიცისათვის და ერთიც დიდი—მეფე-დედოფლისათვის. ამ დღეს დარაჯად პრეობრაჟენსკის პოლკი იყო. ცერემონიის დაწყებამდე ობერ ცერემონიიმეისტრებმა მიძინების ტაძარში სადიპლომატო კორპუსი, უცხოელი პრინცები და მათი ამალა შეიყვანეს. 9 საათზედ სვლა იწყეს მიძინების ტაძარში. ვიდრე მათი უდიდებულესობა, ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდებოდა, მათის უდიდებულესობის მოძღვარმა იანიშევმა გზა აიაზმით ასხურა, ვიდრე ტაძრამდე. პირველს ბალდახინს ქვეშ, რომელიც გენერალ-ადიუტანტებს მიჰქონდათ, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული მოდიოდა, მას თან მოსდევდნენ ორი ასისტენტი—დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე და დანიის პრინცი. შემდეგ იმპერატრიცისა მიდიოდნენ სასახლის სეფე-ქალნი. მუსიკამ ამ დროს რუსული სახალხო სიმღერა დაუკრა. ხალხი აღტაცებით მიეგება ხელმწიფა იმპერატრიცას. მეორე ბალდახინს ქვეშ, რომელიც ასევე გენერალ-ადიუტანტებსა და ასისტენტებს მოჰქონდათ, მობრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული. ხელმწიფე იმპერატორთან ასისტენტებად იყვნენ დიდნი მთავარნი ალექსანდრე მიხეილის ძე და ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ხელმწიფა იმპერატრიცასთან სერგი და პავლე ალექსანდრეს ძენი. მუსიკამ ამ დროს რუსული სახალხო სიმღერა დაუკრა და გაისმა განუწყვეტელი აღტაცებული „ურას“ ძახილი. ეკკლესიებში ზარების რეკვა დაიწყეს, ტაინიცის კოშკიდამ ზარბაზნებს სცლიდნენ. საიმპერატორო სამკაული რომ მიძინების ტაძართან მიიტანეს, წინ გამოეგებნენ მოსკოვისა და კიევის მიტროპოლიტნი და აიაზმა ასხურეს. როდესაც მეფე-დედოფალი მიძინების ტაძრის კარიბჭეს მიუახლოვდნენ, წინ შეეგებნენ მიტროპოლიტნი—პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა და უმაღლესი სამღვდელოება. მოსკოვის მიტროპოლიტმა სიტყვით მიჰმართა იმპერატორსა და იმპერატრიცას, პეტერბუგისამ ჯვარს ამთხვევინა და კიევისამ აიაზმა ასხურა. რვა საათზე ტაძარი უკვე სავსე იყო. მარჯვნივ, საკურთხევლის წინ, დიდნი მთავარნი და უცხოელნი პრინცები იდგნენ; მარცხნივ—დიდნი მთავრინანი და უცხოელი პრინცესები. შემდეგ უცხოეთის სადიპლომატო კორპუსი, უცხოეთის წარჩინებულთა და უდიდესთა ამალა, სასახლის სეფე-ქალნი, ფრეილინები, სასახლის კაცნი, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავები, რუსეთისა და უცხოეთის კორესპონდენტნი იდგნენ. დილის 9 საათზედ მობრძანდა ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული. იმპერატრიცას შემდგომ მობრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი. დილის $10^1/_2$ საათზე შესრულებულ იქმნა დაგვირგვინება. 10 საათსა და 4 წამზედ ხელმწიფე იმპერატორმა ხმამაღლა სიმბოლო სარწმუნოებისა წაიკითხა. $10^1/_2$ საათზედ გვირგვინი დაიდგა და სამის წამის შემდეგ ხელმწიფა იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულსაც დაადგა თავზედ პატარა გვირგვინი. მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ტიტულის წაკითხვის შემდეგ ზარბაზნების ცლა დაიწყეს. შემდეგ მიულოცეს საიმპერატორო გვარეულობის წარმომადგენელთ, უცხოელმა პრინცებმა და პრინცესებმა. 10 საათსა და 55 წამზე იმპერატორმა მუხლი მოიყარა და დადგენილი ლოცვა წარსთქვა. შემდეგ პეტერბურგის მიტროპოლიტმა წარმოსთქვა ლოცვა. ხალხმა მუხლი მოიყარა. მირონცხებისა და წმ. საიდუმლოს მიღების შემდგომ მათნი უდიდებულესობანი მთავარანგელოზისა და ხარების ტაძარში მიბრძანდნენ და აქედამ კრემლის სასახლეში. წითელი კარებიდამ მათ უდიდებულესობათ ხალხს თავი დაუკრეს. ხალხი აღტაცებულის „ურას“ ძახილით შეეგება. დაგვირგვინების შემდგომ გამობრძანდა ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, რომელსაც ხალხი „ურას“ ძახილით დაუხვდა, და კრემლის სასახლეში მიბრძანდა. ხელმწიფა იმპერატრიცას თან სასახლის სეფე-ქალნი ახლდნენ. მეფე-დედოფალი უკანა კარებიდამ გამობრძანდნენ და აქედამ მთავარ-ანგელოზის ტაძარში მიბრძანდნენ. წინ კავალერ-გრადთა რაზმი მიუძღვოდა, შემდეგ მიჰქონდათ დროშები—სასახლის გრენადერთა და სახელმწიფო დროშა. ხელმწიფე იმპერატორის ბალდახინის წინ, რომელიც გენერალ-ადიუტანტებს მიჰქონდათ, მიდიოდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრნი და მინისტრნი. მთავარ-ანგელოზის ტაძართან სამღვდელოება მიეგება. აქ მათ უდიდებულესობათ თვისს წინაპართა საფლავებს თაყვანი სცეს და შემდეგ ხარების ტაძარში მიბრძანდნენ, რომ წმ. ხატებს ჰმთხვევოდნენ. ხარების ტაძრიდამ კრემლის სასახლეში დაბრუნდნენ და ხალხს სალამი უწყალობეს. ხალხი აღტაცებულის „ურას“ ძახილით შეეგება. მშვენიერი ამინდია, ცხელა.

*) მანიფესტი იქნება დაბეჭდილი, როდესაც სრული ტექსტი მოგვივა.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
ახალი წიგნი
**მოწამის დღიური**
თხზულება
ედმონდ დე-ამიჩისა.
ნათარგმნი ი. ცისკარაშვილის მიერ.
გამოცემული
ნინო ცისკარაშვილისაგან.
წიგნი ღირს ოთხ აბაზად და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.



(50—505—10)